# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №99

ქ. ახმეტა "05" დეკემბერი 2014 წელი

ა.ა.(ი).პ. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი" შემდგომში წოდებული "შემსყიდველად", წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან [illegible] სახით და შპს „ ", შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად" წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით [illegible] სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის სახელმწიფო შესყიდვებ შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში- ხელშეკრულება)" შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნება.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა" „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 "დღე", "კვირა", "თვე" კალენდარული დღე, კვირა, თვე

1.4 "შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 "მიმწოდებელი" –პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 "საქონელი"- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი N1 რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საფინანსო და ორგანიზაციული მართვის კომპიუტერული სისტემა „ორის ბუღალტერია" ერთვალუტიანი ერთ მომხმარებლიანი წარმოების ცხრილებით A01ST.

2.2 კოდი 48400000 (ქვე კოდი 48443000 საბუღალტრო პაკეტური პროგრამები)

## 3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: 778.34 (შვიდასსამოცდათვრამეტი ლარი 34 თეთრი) ლარს.

3.2 საქონლის ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის", გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1."მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან 2014 წლის " 20" დეკემბრამდე "

ბ) განიხილოს „შემსყიდველის" პრეტენზიები და მიაწოდოს მოთხოვნილი ახსნები ყველა საკითხზე, გაწეული მუშაობის „შემსყიდველის" ინსპექტორების განკარგულებისას;

გ) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები;

შეასრულოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები;

4.2 "შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება და დადებითი შედეგების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს ა.ა.(ი).პ. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი"-ს დირექტორის ბრძანებით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი , რომელსაც შეუძლია ინსპექტირება განახორციელოს როგორც ინდივიდუალურად ასევე ერთობლივად.

## 6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, ინსპექტირების ჯგუფის წევრების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6.2 საქონლის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის მისამართი ალ.ყაზბეგის გამზირი N 12ბ.

## 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან ან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს არასამუშაო დღეს, მაშინ ამ დღის ნაცვლად გამოყენებული უნდა იქნეს მომდევნო სამუშაო დღე.

## 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომლებიც გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების №-11 მუხლის შესაბამისად.

## 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით, გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში "შემსყიდველი" და "მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 *წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს* 29.12.2014 *წლის ჩათვლით.*

## 14. ფორს-მაჟორი

14.1 *წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით.*

14.2 *ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული*

14.3 *მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.*

## 15. სხვა პირობები

15.1 *ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ერთი - შემსყიდველს.*

15.2 *ხელშეკრულების თან ერთვის დანართი№1 ([illegible] ხელშეკრულება) რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.*

## 16. მხარეთა რეკვიზიტები:

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| ა.ა.ი.პ. "ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი" | შპს ორისი |
| ქ.ახმეტა ზ.ჩოლოყაშვილის ქ.№50 | თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ N 12 ბ V სართული |
| ს/კ-424611281 | ს/კ 206033754 |
| ს.ს „ლიბერთი ბანკის" ახმეტის ფილიალი | საქართველოს ბანკის ცენტ. ფილიალი |
| ბ /კოდი - 220101448 | ბ/კოდი BAGAGE22 |
| ა /ა- GE78LB0115196016147000 | ა/ა GE88BG0000000120121601 |
| ა.ა.ი.პ. "ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრის დირექტორი: /ქ.მარჩილაშვილი/ | დირექტორი დ. [illegible] |

დანართი N1

## სალიცენზიო ხელშეკრულება

პროგრამასთან მუშაობის დაწყებამდე ყურადღებით გაეცანით სალიცენზიო ხელშეკრულებას !სალიცენზიო ხელშეკრულება

სალიცენზიო ხელშეკრულება წარმოადგენს იურიდიულ დოკუმენტს თქვენს (საბოლოო მომხმარებელს) და შპს ორისს შორის. პროგრამის დაყენებით კომპიუტერზე, მისი კოპირებით, ან მასთან მუშაობის დაწყებით, თქვენ იძლევით თანხმობას შეასრულოთ ხელშეკრულების ყველა პირობა. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ არ ეთანხმებით ხელშეკულების პირობებს, თქვენ არ გაქვთ იურიდიული უფლება ისარგებლოთ პროგრამით. ასეთ შემთხვევაში არ დააყენოთ პროგრამა კომპიუტერზე. პროგრამის შეძენიდან ორი კვირის განმავლობაში თქვენ გაქვთ უფლება დააბრუნოთ პროგრამის დაუზიანებელი სრული კომპლექტი, მასში შემავალი ნაბეჭდი და სხვა თანმხლები მასალა. ამის შემდეგ თქვენ დაგიბრუნდებათ მისი სრული საფასური.

### საავტორო უფლება.

კომპიუტერული პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოადგენს შპს ორისის საკუთრებას და დაცულია კანონით.

### სალიცენზიო უფლებები.

პროგრამის ერთკომპიუტერიანი ვერსიის ლიცენზიის შემთხვევაში, თქვენ გაქვთ უფლება იმუშაოთ თქვენს ერთ კომპიუტერზე, ან ქსელური ლიცენზიის შემთხვევაში – ლოკალურ ქსელში ჩართულ შესაბამისი რაოდენობის კომპიუტერზე.

### უფლებების გადაცემა

თქვენ შეგიძლიათ გადასცეთ სალიცენზიო უფლებები მესამე მხარეს იმ შემთხვევაში, თუ მესამე მხარე თანახმაა შეასრულოს მოცემული სალიცენზიო ხელშეკრულების ყველა პირობა. ამ შემთხვევაში, თქვენ უნდა გადასცეთ მესამე მხარეს პროგრამა და სხვა თანმხლები მასალა, ხოლო თქვენს კომპიუტერზე წაშალოთ პროგრამის ყველა ასლი.

### შეზღუდული გარანტია

მომხმარებლის მიერ პროგრამის შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში შპს ორისი უზრუნველყოფს პროგრამის კომპიუტერზე დაყენებასთან და სარგებლობასთან დაკავშირებულ სატელეფონო და საკონსულტაციო მომსახურებას შპს ორისის ტერიტორიაზე. შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში გაქვთ უფლება მიიღოთ პროგრამის განახლებული ვერსიები, იმ შემთხვევაში თუ პროგრამის განახლებული ვერსიები გამოშვებული იქნება შპს ორისის მიერ აღნიშნულ ვადაში.

### გარანტიების არარსებობა

პროგრამა და სახელმძღვანელო წარმოდგენილია "როგორც არის" ისეთი ფორმით და შეიძლება არ შეესაბამებოდეს თქვენს ყველა მოთხოვნას. შპს ორისი არ გაძლევთ გარანტიას, რომ პროგრამა უშეცდომოა. შპს ორისი არანაირ ვითარებაში არ იღებს პასუხისმგებლობას

მონაცემთა, ფულად, პირდაპირ ან ირიბ დანაკარგებზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს პროგრამის გამოყენებით ან გამოყენების შეუძლებლობით, იმ შემთხვევაშიც კი თუ შპს ორისი წინასწარ იყო ინფორმირებული ამგვარი დანაკარგების შესახებ.

არანაირ ვითარებაში დანაკარგების ანაზღაურების თანხა არ შეიძლება აჭარბებდეს მომხმარებლის მიერ ფაქტიურად გადახდილ პროგრამის ღირებულებას.